პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 217 (3447)
5 ნოემბერი 1967 წ. კვირა
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов
გამოცემის 24-ე წელი.

საბჭოთა ხალხს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი. მიმართვაში ისინი მხურვალედ ულოცავენ მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა მშრომელს საყოველთაო სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

ოქტომბრის გამარჯვება, ხაზგასმულია მიმართვაში, **უდიდესი შემობრუნებაა მსოფლიო ისტორიაში. მან შექმნა პირობები სოციალიზმის აშენებისათვის მსოფლიოს უდიდეს ქვეყანაში, დასაბამი მისცა კაცობრიობის განთავისუფლებას ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან.** ჩვენთან ერთად ოქტომბრის სახელოვან წლისთავს აღნიშნავენ სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მოძმე პარტიები, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი მოწინავე კაცობრიობა.

ოქტომბრის რევოლუციამ ენთუზიაზმის ცეცხლი აანთო მილიონობით ადამიანის გულში. ჩაგრულთა და თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლის შუქურა და იმედი გახდა.

1917 წლის ოქტომბერში საბჭოთა რუსეთი პირველი დაადგა სოციალიზმის გზას. ახლა ამ გზას ადგას ბევრი სახელმწიფო და ხალხი. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა ისტორიული განვითარების მძლავრი ფაქტორი გახდა.

ხუთ ათწლეულში საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ, იგი აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, მიდის სოციალური პროგრესის ავანგარდში. წარმატებით ხორციელდება მარქსის, ენგელსის, ლენინის იდეები, ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც ისახავდნენ ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი.

შემდეგ მიმართვაში ნათქვამია:

ჩვენ მიზნად ვისახავდით მოგვესპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, და მივაღწიეთ კიდეც ამ მიზანს. სოციალიზმი მშრომელთა საზოგადოებაა. აქ არ არიან ექსპლოატატორები და ექსპლოატირებულნი.

ჩვენ მიზნად ვისახავდით შეგვექმნა სოციალისტური წარმოება, და მივაღწიეთ კიდეც ამ მიზანს.

ხალხის გმირული შრომით ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა დიდად განვითარებული თანამედროვე ინდუსტრია. წვრილი გლეხური მეურნეობის ნაცვლად შეიქმნა მსხვილი, ტექნიკურად აღჭურვილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოება. გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკა ვითარდება სწრაფი და მყარი ტემპით.

ჩვენ ამოცანად ვისახავდით ბოლო მოგვეღო ეროვნული შუღლისა და ჩაგვრისათვის. და გადავწყვიტეთ კიდეც ეს ამოცანა. სოციალიზმმა დაამკვიდრა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ძმური ერთობა. მსოფლიოში არ არის უფრო მტკიცე და სალი შენადნობი, ვიდრე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობაა.

ჩვენ მიზნად ვისახავდით გაგვეხორციელებინა სოციალისტური პრინციპი „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“. და განვახორციელეთ კიდეც ეს პრინციპი. ჩვენს ქვეყანაში მოისპო სიღატაკე და უმუშევრობა, ექსპლოატატორთა პარაზიტიზმი. სოციალისტური წარმოება ემსახურება ხალხის ინტერესებს, მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

შრომისა და დასვენების, უფასო განათლების, სამედიცინო მომსახურების და საპენსიო უზრუნველყოფის უფლება — საბჭოთა ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშანია. ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი გაუმჯობესება სოციალისტური საზოგადოების კანონია.

ჩვენ ამოცანად ვისახავდით შეგვექმნა ახალი, სოციალისტური სახელმწიფო, ახალი სოციალისტური დემოკრატია, რომლებიც განასახიერებდნენ ხალხის ძალაუფლებას და ძალაუფლებას ხალხისათვის. და შევასრულეთ კიდეც ეს ამოცანა. ოქტომბრით შობილმა სოციალისტურმა დემოკრატიამ ხალხის ფართო მასები აზიარა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვას, ფართო ასპარეზი შექმნა მშრომელი ხალხის უნარის, ცოდნის, ნიჭის გამოსავლენად. პირველად ისტორიაში შეიქმნა სახელმწიფო, რომლის ძალაა მასების შეგნებულობა და ორგანიზებულობა.

რევოლუციამ, აღნიშნულია მიმართვაში, **დაგვისახა მიზანი — აღგვეზარდა მშრომლები მაღალი სოციალისტური შეგნებულობის სულისკვეთებით. დღეს სიამაყით შეგვიძლია განვაცხადოთ: ჩვენს ქვეყანაში აღიზარდნენ კომუნიზმის დიადი საქმისათვის შესანიშნავ მებრძოლთა თაობები.**

მთელი მსოფლიო აღტაცებულია საბჭოთა ადამიანების უდიდესი თავდადებითა და მამაცობით. რევოლუციური იდეალებისადმი ერთგულებითა და შეგნებული დისციპლინით.

განვიცდით რა კანონიერი სიამაყის, დიდი კმაყოფილების გრძნობას სოციალიზმის გრანდიოზული წარმატებების გამო, თვალნათლივ ვხედავთ განვლილი გზის მთელ სირთულეს. პარტია და ხალხი აშენებდნენ ახალ საზოგადოებას ისე, რომ არ უშინდებოდნენ გაუკვალავი გზების სიძნელეებს. ჩვენ გავიარეთ მკაცრი გამოცდა, განვიცადეთ როგორც გამარჯვებების სიხარული, ისე დანაკლისის მწუხარება, გამოვიტანეთ გაკვეთილები დროებითი წარუმატებლობიდან და შეცდომებიდან. გამარჯვებების ზეიმის დღეებში, ისევე როგორც მკაცრი გამოცდის დროს, მთელი სისრულით გამოვლინდა ჩვენი ხალხის კეთილშობილური თვისებანი, მისი რევოლუციური შეგნებულობა და თავდადებულობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი.

სოციალიზმმა ახალი სიცოცხლე შთაბერა ჩვენს ქვეყანას, მოუტანა თავისუფალი შრომის ბედნიერება, მიზანმიმართული შემოქმედების უშრეტი ენერგია. სოციალისტური მშენებლობის ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური შედეგები ჩვენს წინაშე გადაშლიან კომუნიზმზე გადასვლის დიდებულ პერსპექტივებს.

ჩვენ მიზნად ვისახავთ ავაშენოთ კომუნისტური საზოგადოება. და ავაშენებთ კიდეც!

საბჭოთა ხალხი თავისი შრომითა და ბრძოლით კომუნიზმის იდეალებს პრაქტიკულად ახორციელებს. ლენინურმა პარტიამ თავის პროგრამაში, XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში დასახა კომუნისტური საზოგადოების აშენების ძირითადი გზები. დიდი ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი მტკიცედ მიდის კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

კომუნისტური საზოგადოება რომ ავაშენოთ, უნდა გადავწყვიტოთ მთავარი ეკონომიური ამოცანა — შევქმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ყოველმხრივი გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, მისი ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უნდა უზრუნველვყოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელი ზრდა და ამის მეოხებით მივაღწიოთ ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას, მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

კომუნისტური საზოგადოება რომ ავაშენოთ, ბეჯითად უნდა სრულვყოთ სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა.

კომუნიზმი რომ ავაშენოთ, ბეჯითად უნდა აღვზარდოთ საზოგადოების ყველა წევრი მაღალი შეგნებულობის, შრომის და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

გამოვთქვამთ რწმენას, აღნიშნულია მიმართვაში, რომ ჩვენი გმირი მუშათა კლასი, მეცნიერები, ინჟინრები და ტექნიკოსები, კონსტრუქტორები, მრეწველობის ყველა მუშაკი კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლებენ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, ეკონომიური რეფორმის პრაქტიკული განხორციელებისათვის. გამოვთქვამთ რწმენას, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები კვლავაც განუხრელად აამაღლებენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურას, შეამცირებენ შრომის დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე, უფრო ბეჯითად გააუმჯობესებენ თავიანთ მუშაობის ეკონომიურ მაჩვენებლებს, მეურნეობას გაუძღვებიან უნარიანად და ყაირათიანად. გამოვთქვამთ რწმენას, რომ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მასწავლებლები, ექიმები, მთელი ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია კვლავაც პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას ხალხის წინაშე, მთელ ძალებსა და ცოდნას მოახმარენ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს, ბეჯითად განავითარებენ მეცნიერებასა და ტექნიკას, კულტურას შეიტანენ მასებში, ხელს შეუწყობენ მოზარდი თაობის კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდას.

დღეს მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო საბჭოთა ქალებო. თქვენი თავდადებული შრომითა და ზრუნვით შვილების აღზრდისათვის შეგაქვთ შესანიშნავი წვლილი ჩვენს საერთო საქმეში.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც ყველაფერს იღონებენ, რათა ჩვენი ქვეყნის ქალებს ჰქონდეთ უფრო მეტი შესაძლებლობანი თავიანთი შემოქმედებითი უნარისა და ნიჭის განვითარებისათვის.

თქვენ მოგმართავთ, ქალიშვილებო და ჭაბუკებო, სახელოვანო საბჭოთა ახალგაზრდობავ! თქვენს ხელთაა სამშობლოს მომავალი. გვჯერა, რომ ღირსეული გამგრძელებლები იქნებით ლენინის დიადი საქმისა, ვაჟკაცურად დაიცავთ ოქტომბრის იდეალებს, და თუ საჭირო იქნება, იარაღით ხელში დაიცავთ სოციალისტური სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას.

საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებო! ბეჯითად დაეუფლეთ სამხედრო ტექნიკასა და იარაღს, სრულყავით საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება. საიმედოდ დაიცავით საბჭოთა კავშირის საზღვრები, აამაღლეთ სიფხიზლე, განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა.

ჩვენი განვითარების ორმოცდაათი წლის გზა, ხაზგასმულია შემდეგ მიმართვაში, **მშრომელი ხალხისა და კომუნისტური პარტიის ურღვევი ერთობის უმკაფიოესი დადასტურებაა.** დღეს სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა კომუნისტური პარტია, — მუშათა კლასის საქმე, გახდა მთელი ხალხის საქმე.

დიდი დღესასწაულის დღეებში საბჭოთა ხალხი გულითად მადლობას უძღვნის თავის საზღვარგარეთელ ძმებს. ძვირფასო საზღვარგარეთელო ამხანაგებო და მეგობრებო, მხურვალე მადლობას გიძღვნით თქვენი ინტერნაციონალური გრძნობისათვის მსოფლიოში პირველი სოციალიზმის ქვეყნებისადმი. თქვენი უანგარო და თავდადებული მხარდაჭერისათვის.

დასასრულს მიმართვაში ნათქვამია:

საბჭოთა ხალხი, რომელიც იწყებს დიდი რევოლუციის მეორე ორმოცდაათწლეულს, მაღლა ატარებს კომუნიზმის იდეებს, დიდი ოქტომბრის იდეებს. ჩვენ ვეყრდნობით სოციალისტური მშენებლობის მიღწეულ წარმატებებს, შეიარაღებული ვართ მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრებით. ჩვენს მხარეზეა ცხოვრების სიმართლე, ჩვენი ძალები აურაცხელია. ჩვენთან ერთად მხარდამხარ მოდიან სოციალიზმის მოძმე ქვეყნების ხალხები, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის, დემოკრატიისა და ეროვნული განთავისუფლების ძალები. ვერავინ და ვერაფერი ვერ შეგვაჩერებს ჩვენი საბოლოო მიზნის განხორციელებას — კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უსურვებენ საბჭოთა ხალხს, თითოეულ საბჭოთა ადამიანს ახალ წარმატებებს შრომაში, სწავლაში, ბედნიერებას პირად ცხოვრებაში, წარმატებებს ჩვენი დიადი კომუნისტური საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში (საქტასი).

საიუბილეო სხდომაზე

4 ნოემბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

საზეიმო სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს: ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. კუნაევმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა და სხვებმა.

საზეიმო სხდომამ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი.

საზეიმო სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

წლიური გეგმა ვადამდე!

ჩვენი შრომითი საჩუქარი ოქტომბერს!

საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მილიონიანი არმია კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე თავდადებით შრომობს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ახალი წარმატებებით შეხვდეს საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 50 წლისთავს.

დიდ საიუბილეო ზეიმამდე ორიოდე დღე დარჩა. რაიონებიდან და ქალაქებიდან ყოველდღიურად მოდის სასიხარულო ცნობები: „არის წლიური გეგმა, ვალდებულება განაღდებულია!" — უპატაკებენ იუბილარ სამშობლოს რესპუბლიკის ფიზკულტურელები.

საქართველოს ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით, პროფკავშირებისა და კომკავშირის აქტიური მონაწილეობით თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ფართო საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით, გარკვეული მუშაობა გასწიეს რესპუბლიკაში მასობრივი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი ამაღლებისთვის.

მიმდინარე წლის 1 ნოემბრისთვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების, სპორტის ოსტატების, სპორტსმენ-თანრიგოსნებისა და მშთ ნიშნოსნების მომზადების წლიური გეგმა.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათლად მეტყველებს, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებში: 10 თვის განმავლობაში მომზადებულია 15 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 185 სპორტის ოსტატი, 2820 პირველთანრიგოსანი და ოსტატობის კანდიდატი, II-III და მოზარდთა თანრიგი შეასრულა 88.056 კაცმა, მომზადდა 67.561 მშთ ნიშნოსანი, მრავალი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და სპორტული მსაჯი. მაგრამ ეს ჩვენი სპორტული ცხოვრების სრული სურათი როდია. უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ გეგმების შესრულების ცხრილს რაიონების, ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით, რაც კიდევ უფრო ნათელყოფს ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმატებას.

რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანაა შევინარჩუნოთ, ავამაღლოთ და კიდევ უფრო განვამტკიცოთ სპორტული მიღწევები. საამისოდ საჭიროა, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი გავხადოთ კიდევ უფრო მასობრივი და ყველასთვის მისაწვდომი, მივცეთ რესპუბლიკას ნიშნოსნების, თანრიგოსნების, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების ახალი, სრულფასოვანი შევსება!

საზოგადოებები	მშთ ნიშნოსნები		II-III და მოზარდთა თანრიგი		I თანრიგი და ოსტატობის კანდიდატები		სპორტის ოსტატები		საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატები		სპორტის ოსტატები ეროვნულ სახეობებში		საზოგადოებრივი ინსტრუქტორები		სპორტული მსაჯები	
	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება
„ბურევესტნიკი"	—	1339	4100	4117	410	413	45	48	4	8	—	1	300	398	900	1021
„განთიადი"	10050	10468	14800	18545	250	650	22	34	1	2	—	2	1524	3325	748	1886
„დინამო"	—	—	7700	11095	402	606	31	33	7	5	—	—	1700	1926	2000	2110
„ვოდნიკი"	—	322	600	688	35	39	2	2	—	1	—	—	200	74	200	93
„კოლმეურნე"	20000	21061	16000	21270	210	462	21	24	1	1	—	25	2500	9331	1500	5331
„ლოკომოტივი"	1800	2000	3100	3895	120	135	12	16	—	—	—	—	2000	2000	1800	1800
„სპარტაკი"	11500	12294	13000	14713	210	350	21	22	1	3	—	4	600	1709	700	1650
„შრომითი რეზერვები"	6306	10077	10100	13736	120	165	3	5	—	—	—	—	3700	4020	3200	3993
სულ	49650	67561	69400	88056	1757	2820	156	184	14	15	—	32	12524	22783	11048	17889

ჯილდოები ღირსეულთ

113. **ფ. კუხიანიძე** — საქართველოს სპორტკავშირის უფროსი მწვრთნელი ჭიდაობაში.
114. **ო. ლაკერბაი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
115. **გ. ლეჟავა** — თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
116. **ო. ლოლაშვილი** — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.
117. **ხ. ლოლაშვილი** — წითელწყაროს საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
118. **გ. ლომიძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკის მეთოდისტი.
119. **მ. მაიერი** — სპორტული დაოსტატების უმაღლესი სკოლის მწვრთნელი მძლეოსნობაში.
120. **ა. მაისურაძე** — პარტიის ახმეტის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.
121. **ი. მაისურაძე** — ჭიათურის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
122. **პ. მალაღურაძე** — ზესტაფონის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
123. **კ. მალიშკოვი** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
124. **შ. მამინაშვილი** — აჭარის სპორტკავშირის ინსტრუქტორი.
125. **ი. მარი** — საქართველოს მთამსვლელობის ფედერაციის წევრი.
126. **ი. მარქაროვი** — ქუთაისის „დინამოს" მწვრთნელი კრივში.
127. **ვ. მაჩკალიანი** — სოხუმის „დინამოს" მწვრთნელი ჭიდაობაში.
128. **დ. მაჭავარიანი** — თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე.
129. **შ. მაჭავარიანი** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
130. **გ. მახათაძე** — თბილისის „დინამოს" სპორტკომბინატის კომენდანტი.
131. **გ. მგალობლიშვილი** — გორის საჭიდაო დარბაზის დირექტორი.
132. **ს. მეკრავიშვილი** — კასპის რაიონის სოფელ მეტეხის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
133. **ლ. მელტონიანი** — წალკის რაიაღმასკომის თავმჯდომარე.
134. **გ. მერკვილაძე** — საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის მეთოდკაბინეტის გამგე.
135. **შ. მერკვილაძე** — თბილისის განათლების განყოფილების ჭაბუკთა და ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი
136. **ა. მიმინოშვილი** — ბათუმის ჭაბუკთა და ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი ჭიდაობაში.
137. **დ. მიქაბერიძე** — სპორტული დაოსტატების უმაღლესი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.
138. **დ. მიქაძე** — სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
139. **ი. მიქაძე** — ფოთის „ვოდნიკის" სტადიონის დირექტორი.
140. **ვ. მიხაილოვი** — სოხუმის „დინამოს" მწვრთნელი ძალოსნობაში.
141. **შ. მჟავანაძე** — აჭარის სპორტკავშირის თავმჯდომარე.
142. **დ. მუმლაძე** — ჭიათურის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
143. **ნ. მუშლიანი** — ბათუმის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
144. **გ. მღებრიშვილი** — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი.
145. **ზ. მღებროვი** — ლენინგორის სპორტკავშირის თავმჯდომარე.
146. **ა. ნავასარდოვი** — სპორტული დაოსტატების უმაღლესი სკოლის მწვრთნელი კრივში.
147. **მ. ნათაძე** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
148. **დ. ნაცვლიშვილი** — „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.
149. **გ. ნაჭყებია** — ზუგდიდის საცხენოსნო-სპორტული კლუბის თავმჯდომარე.
150. **შ. ნაჭყებია** — ქუთაისის ელექტრომექანიკური ტექნიკუმის ფიზკულტურის მასწავლებელი.
151. **გ. ნოდია** — აფხაზეთის მონადირეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე.
152. **შ. ნოზაძე** — თბილისის „სპარტაკის" მწვრთნელი ჭიდაობაში.
153. **დ. ობოლაძე** — საქართველოს ალპიური კლუბის დირექტორი.
154. **ი. ოგანოვი** — საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი.
155. **რ. ოთარაშვილი** — დუშეთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
156. **ა. ორლოვი** — თბილისი, მწვრთნელი ფეხბურთში.
157. **მ. ოლლაძე** — ცხინვალის „განთიადის" მწვრთნელი ჭიდაობაში.
158. **კ. პახიკოვი** — ბათუმის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
159. **ა. პაცკევიჩი** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ ნაგებობათა რემონტის ოსტატი.
160. **გ. პლიევი** — ბორჯომის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.
161. **ა. პოზოევი** — ახალციხის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
162. **ბ. პოლტორაცკი** — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
163. **ო. ჟორდანია** — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წევრი.
164. **ა. ჟღენტი** — ფოთის ნავსადგურის საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი.
165. **ა. რატია** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზაღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი.
166. **გ. რატიაშვილი** — პარტიის გორის რაიონული კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.
167. **გ. რცხილაძე** — თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარე.
168. **ვ. სამსონაძე** — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი.
169. **კ. სამხარაძე** — „სპარტაკის" ბორჯომის რაისაბჭოს თავმჯდომარე.
170. **ი. სარაჯიშვილი** — საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქტორის მოადგილე.
171. **ვ. სემიონოვი** — გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" რედაქციის ფიზკულტურისა და სპორტის საზოგადოებრივი სექტორის გამგე.
172. **ტ. სერგიაშვილი** — ბათუმის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
173. **გ. სვანიძე** — ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე.
174. **გ. სირბილაძე** — გურჯაანის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
175. **ს. სიხარულიძე** — თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის უფროსი მწვრთნელი.
176. **ბ. სტავრაკი** — აფხაზეთის სპორტკავშირის ინსტრუქტორი.
177. **ი. სტეპანოვი** — თბილისის „განთიადის" უფროსი მწვრთნელი ველოსპორტში.
178. **ი. სუმბაძე** — ყვარლის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
179. **თ. სხირტლაძე** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე.
180. **ნ. სხირტლაძე** — თბილისის განათლების განყოფილების მწვრთნელი მძლეოსნობაში.
181. **ვ. ტატიშვილი** — თბილისის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი.
182. **ბ. ტახტაროვი** — საქართველოს განათლების სამინისტროს უფროსი მწვრთნელი მძლეოსნობაში.
183. **მ. ტყავაძე** — საქართველოს მთამსვლელობის ფედერაციის წევრი.
184. **ლ. უკლება** — პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" № 215, 216.

ა. ლუკაშვილი
მთამსვლელის ჩანაწ

„მთამსვლელის ჩანაწერები"

უკვე მესამედ გამოიცა ერ
ლე ლუკაშვილის „მთამსვლე
ლის ჩანაწერები". ავტორი მო
გვითხრობს თავისი სპორტულ
ცხოვრების ორმოცდახუთი წლ
ამბავს, გვიამბობს, როგორ და
ლაშქრა შვეიცარიის ალპები და
კავკასიონის მწვერვალები, გუ
ლმართლად წერს წარმატებებ
ზეც და მარცხზეც.

„სიმართლე! სრული სიმარ
ლე!" — ასწავლის ახალგაზრდ
მკითხველს უხუცესი მთამსვლე
ლი თავისი გულწრფელი მოგო
ნებებით.

წიგნი კარგადაა გააზრებულ
ოღონდ იგი გაცილებით მეტ
მოიგებდა, რომ ავტორს ცალკე
ული თავებისთვის დაერთო მო
კლე მიმოხილვა ან ცნობა, ეთქ
ვა მკითხველისთვის, თუ მანამ
დე ვინ და როდის ავიდა მი
წიგნში ნახსენებ მწვერვალებზ

საერთოდ, წიგნი კარგ შთაბ
ჭდილებას ტოვებს და მაღლ
ბის მეტი რა გვეთქმის გამომ
ცემლობა „ნაკადულის" მიმართ

ს. გვალია,
სპორტის ოსტატ

იმ გმირულ დღეთა მოსაგონარად

1941—1945

1941 წლის ზაფხული იდგა. საქართველოს სპორტული დელეგაცია მოსკოვში, ფიზკულტურელთა საკავშირო დღესასწაულზე წასასვლელად ემზადებოდა.

ტრადიციისამებრ, ემზადებოდნენ შავი ზღვის სანაპიროზე, გაგრაში. მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი და ქართველმა ფიზკულტურელებმა მოსკოვის ნაცვლად ფრონტს მიაშურეს.

ვინ მოსთვლის რამდენი ქართველი სპორტსმენი წავიდა ფრონტზე. ჩვენში ხომ თითქმის ყოველი ჭაბუკი ფიზკულტურელი იყო! დღეს ჩვენ მოგითხრობთ ზოგიერთ მათგანზე. მოგითხრობთ სამამულო ომის პერიოდში ჩატარებულ ფიზკულტურულ მუშაობაზე, საქართველოს სპორტსმენთა ცხოვრებაზე.

გვერდი მოამზადა ბ. ჩიკვაიძემ. ფოტორეპროდუქციები ა. ალიევისა.

და მაინც ჩქეფდა სპორტული ცხოვრება

ომი მძვინვარებდა, მაგრამ საქართველოს სპორტული ცხოვრება არ შეწყვეტილა.

1943 წელს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაძლიერების შესახებ.

კვლავ იმართება შეჯიბრებები.

1944 წელს მოეწყო მასობრივი ასპარეზობა ცურვაში, სათხილამურო სპორტში, ფარიკაობაში, ტანვარჯიშში, კლასიკურ ჭიდაობაში, ველოსპორტში, ფეხბურთში, კალათბურთში...

იმავე წელს ირანს ეწვია საბჭოთა ქვეყნის პირველი სპორტული დელეგაცია — თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. დინამოელებმა იქ სამი მატჩი ჩაატარეს და სამივე მოიგეს — 5:1, 4:0, 7:1.

თბილისს ეწვივნენ მოსკოველი ფეხბურთელები.

1944 წელს სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელებმა, მოფარიკავეებმა, მოკრივეებმა.

ამ შეჯიბრებებში აღიზარდნენ და დაოსტატდნენ ომისშემდგომი წლების გამოჩენილი სპორტსმენები დ. ციმაკურიძე, ვ. ილურიძე, ლ. სანაძე, პ. მშვენიერაძე და სხვები.

• • •

სურათზე: თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები ირანში. ირანის შახი მიესალმება ქართველ სპორტსმენებს.

ფაშისტური გერმანიის უკანასკნელი დღეები. სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი რაიხსტაგზე. საბჭოთა კავშირის გმირები მ. ქანთარია და მ. ეგოროვი.

გმირი სპორტსმენები

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სპორტსმენი იბრძოდა. მათ შორის იყვნენ ვ. სამსონაძე, ნ. ჯორჯიკია, შ. სვანიძე, ა. ქოიავა, ვ. ქარსელაძე, შ. ელიაშვილი, მ. მაისურაძე, ა. კილურაძე, ა. იმნაძე, ვ. ბარნაბიშვილი, გ. ულენტი, გ. მაჩაბელი და სხვ.

... გრიგოლ ულენტის ბატალიონმა ერთ-ერთმა პირველმა სძლია გააფთრებული წინააღმდეგობა და უაღრესად რთულ პირობებში გადალახა მდინარე დნეპრი.

ორიოლთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილმა სტუდენტმა მ. ბარბაქაძემ.

132 გმირი მისცა საქართველომ სამშობლოს და მათ შორის არა ერთი და ორი სპორტსმენი იყო.

აი, ზოგიერთი: ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი ვ. ლეჟავა, სპორტსკოლის აღზრდილი თ. ჯაფარიძე, ტანმოვარჯიშე ი. ციციშვილი, მოჭიდავე დ. ბაქრაძე, ცხენოსანი მ. ქანთარია, მოჭიდავე და ფეხბურთელი ნ. ურუშაძე, ავიასპორტსმენი ი. ჯინჯარაძე და სხვ.

ლაშისღელელები მუდამ მოუთმენლად ელოდნენ სარბიელზე თავიანთი ფალავნის ნოე ურუშაძის გამოჩენას. კარგი მოჭიდავე იყო, კარგი ლელობურთელი და ფეხბურთელი, მაგრამ ომმა არ დააცალა.

... „სალამი საყვარელ დედას! მე ჯანმრთელად და კარგად ვარ. ჩემი გამძლეობა ახლა გამომადგა... დაუნდობლად ვანადგურებ მტერს. იგი უკვე წელში გავტეხეთ. ჩვენი ჯარები წინ მიიწევენ და ზედიზედ ათავისუფლებენ საყვარელი სამშობლოს ქალაქება და სოფლებს". — იწერებოდა ნოე 1944 წლის ივნისში. მაგრამ ჭაბუკი ველარ მოესწრო სამშობლოს გათავისუფლებას, გმირული სიკვდილით დაეცა დნეპრთან.

ვახტანგ ლეჟავა ტანვარჯიშითა და ცურვით იყო გატაცებული და ფიზკულტურის ინსტიტუტში შევიდა სწავლის გასაგრძელებლად. სწორედ აქ მოუსწრო ომმა. 18 წლის ჭაბუკი არც დაფიქრებულა, ისე მიაშურა სამხედრო კომისარიატს, საიდანაც სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს. ლეიტენანტის ჩინით მიიღო საბრძოლო ნათლობა. ლეიტენანტის სამხრეებით მიიბარა იგი უკრაინის მიწამ...

ალყაშემორტყმული კომუნისტის უკანასკნელი სიტყვები იყო: „კომუნისტები მტერს არ ნებდებიან!"... და მან ფეხქვეშ აიფეთქა ხელყუმბარა...

„რა გრიგალები გააპე, რა ბრძოლები გაქვს ნანახი" — უმღეროდნენ გმირ თანასოფლელს, მამაც მფრინავს ისრაფილ ჯინჯარაძეს მახინჯაურელები. თვითმფრინავის მართვის ხელოვნებას ისრაფილი ბათუმის აეროკლუბში დაეუფლა. იქიდან მიაშურა, საფრენოსნო სკოლას, საიდანაც ომში გაიწვიეს. ჯინჯარაძემ 92 გაფრენით მწყობრიდან გამოიყვანა მტრის 82-ავტომანქანა, 27 ტანკი, 7 თვითმფრინავი, მოსპო 10 საცეცხლე წერტი, არტილერიის 8 ბატარეა, 900-მდე გერმანელი ჯარისკაცი.

1943 წლის დეკემბერში ისრაფილ ჯინჯარაძე გმირულად დაიღუპა.

• • •

სურათებზე: საბჭოთა კავშირის გმირები — მარცხნიდან — ი. ჯინჯარაძე, ვ. ლეჟავა, ნ. ურუშაძე.

სახალხო შურისმაძიებლები

პარტიზანთა რაზმებში ბევრი ქართველი სპორტსმენი იბრძოდა. ჩვენ მხოლოდ სამ მათგანზე მოგითხრობთ. ესენი არიან საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე, ლენინის ორდენოსანი დ. იოსელიანი და სსრ კავშირის ჩემპიონი, მოჭიდავე შ. ნოზაძე.

სახელმოხვეჭილი პარტიზანი დავით ბაქრაძე ახალგაზრდობაში კარგ მოჭიდავედ ითვლებოდა, მაგრამ შემდგომ სპორტს „უღალატა", თბილისის სატყეო ინსტიტუტი დაამთავრა და საინჟინრო საქმეს მოჰკიდა ხელი.

— დაიწყო სამამულო ომი. მტრის ზურგში ორ წელიწადზე მეტ ვცხოვრობდი. ტყეებსა და ჭაობებში ვიბრძოდი, და თუ ჯანმრთელობამ ერთხელაც არ მიღალატა, ეს მხოლოდ სპორტის წყალობით, — თქვა საქართველოს კომკავშირის XIV ყრილობაზე სახელოვანმა პარტიზანმა.

პარტიზანული მოძრაობის გამოჩენილი ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ს. კოვპაკი ბაქრაძეზე წერს: „ჩვენს მებრძოლებს მოსვლისთანავე შეუყვარდათ იგი... მანამდე პარტიზანებში უძლეველ ფალავნად გლუხოვცების მეთაური კულბაკა ითვლებოდა. ბაქრაძემ საჭიდაოდ გამოიწვია იგი და მყისვე ბეჭებზე დასცა ფალავანი.

დავით ბაქრაძე პოლკის მეთაურად დანიშნეს, პოლკისა, რომელმაც 5000-ზე მეტი ფაშისტი მოსპო და 567 ტყვედ ჩაიგდო, გაანადგურა 67 ტანკი, 19 ქვემეხი და ტყვიამფრქვევი, მოსპო 9 და ხელთ იგდო 8 საომარი მასალითა და ტექნიკით დატვირთული ეშელონი.

საბრძოლო ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის სახელოვან ქართველ პარტიზანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

სპორტული სამყარო და ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ მსოფლიოსა და სსრ კავშირის რეკორდსმენს, მძლეოსანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს დიმიტრი იოსელიანს.

მაგრამ მისი საბრძოლო გმირობის ამბავი ბევრმა როდი იცის.

იოსელიანისაგან სპორტის მოყვარულები ახალ-ახალ წარმატებებს ელოდნენ, მაგრამ ომი დაიწყო და ისიც ფრონტზე წავიდა, როგორც მოსკოვის პროლეტარული დივიზიის მებრძოლი.

ქ. ბორისოვთან იოსელიანი დაიჭრა და ბელორუს პარტიზანთა რაზმში მოხვდა.

თავმდაბალი და მაგალითის მიმცემი მებრძოლი რაზმის კომუნისტებმა პარტიული ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

1949 წელს ბელორუსიის ხალხმა დ. იოსელიანი მთავრობის ჯილდოზე წარადგინა და მას ლენინის ორდენი გადაეცა.

ცნობილი მოჭიდავე, სსრ კავშირის ჩემპიონი შ. ნოზაძე ომმა შორეულ ტექსელში მოახვედრა. იგი სხვა აჯანყებულ ქართველ ტყვეთა მხარდამხარ იბრძოდა და თითქმის სასწაულით გადაურჩა სიკვდილს.

შ. ნოზაძე ამჟამად სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" მწვრთნელია და მომავალ ჩემპიონებს უზრდის სამშობლოს.

როცა მტერი კავკასიონთან იყო

მტერი კავკასიონთან იყო. სამშობლოს დასაცავად აღსდგნენ ამიერკავკასიისა და კავკასიონის მთიანეთის ხალხები. იქმნებოდა სახალხო ლაშქარი. მეომართა შორის მრავალი სპორტსმენი იყო.

კავკასიის დაცვაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს ქართველმა მთამსვლელებმა. პატივით უნდა მოვიხსენიოთ ლ. ელიაშვილი, შ. ასათიანი, კ. ონიანი, ზ. მაისურაძე, დ. ჯაფარიძე, შ. რევიშვილი, ბ. ახობაძე, მ. ცატუროვი, ვ. ბაბუნაშვილი, მ. გეგეჭკორი, ა. შახნაზაროვი, მ. გვახარია, გ. მელია, ნ. ხიმშიაშვილი, მ. ერისთავი, მ. გავა და სხვები.

მებრძოლთა სამთო-ტექნიკურ მომზადებას ხელმძღვანელობდნენ და სამხედრო ნაწილებს წვრთნიდნენ მთამსვლელი ოფიცრები: ა. გვალია, გ. სულაქველიძე, გ. რამიშვილი, კ. ასტახიშვილი, ვ. ლეჟავა, ა. ივანიშვილი, ვ. მოლოვიჩკო, მ. ბურჯანაძე, ლ. ჯაფარიძე, მ. მიქაბერიძე, ი. მარი და სხვები.

სვანმა მთამსვლელებმა შექმნეს პარტიზანული რაზმი, რომელიც ღირსეულად ასრულებდა რთულ საბრძოლო დავალებას. ამ რაზმში იყვნენ: გ. და ბ. ხერგიანები, გ. ზურებიანი, მ. ჯაფარიძე და სხვები.

მამაცურად იბრძოდნენ მოხევე მთამსვლელებიც. მათ შორის იყვნენ სახელგანთქმული ქართველი ალპინისტის იაგორ კაზალიკაშვილის ვაჟები სტეფანე, ალექსი და ისიდორე, გიგუშა და გოგი ქირიკაშვილები, ო. კაზალიკაშვილი და სხვები.

აღსანიშნავია ცნობილი მთამსვლელი ქალის ა. ჯაფარიძის, დ. წერეთლის, ლ. მარუაშვილის, ს. გელაშვილის, ქ. ონიანის, შ. შხვაცაბაიას, ო. გიგინეიშვილისა და სხვათა მუშაობა.

ფეხბურთი 67

სსრ კავშირის პირველობა

მატჩები, გოლები, ქულები

. სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის სენსაციას, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა პირველი ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტის — მოსკოვის „დინამოს“ მარცხი საკუთარ მინდორზე ლუგანსკის „ზარიასთან“ — 0:1. ეს ბურთი დინამოელთა კარში გაიტანა „ზარიას“ თავდამსხმელმა ო. სერგეევმა თამაშის მე-5 წუთზე. წინ იყო თითქმის მთელი თამაში — 85 წუთი, მოსკოველებმა კი ვერ შეძლეს თუნდაც გაექვითათ ეს გოლი და გადაერჩინათ ერთი ქულა მაინც. ლუგანსკელებმა ამ გამარჯვებით კიევის „დინამოს“ თითქმის ასპროცენტიანი შანსი შეუქმნეს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

იმავე მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე მარცხი განიცადა დედაქალაქის მეორე გუნდმა — ცსკა-მ აუტსაიდერთა შორის მყოფი „კაირატისაგან“. სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ს. ბაიშაკოვმა 62-ე წუთზე გაიტანა გოლი, რომელმაც მის გუნდს მოუტანა გამარჯვება. საინტერესოა, რომ ცსკა დაუმარცხებლად იბრძოდა ბოლო 6 ტურის მანძილზე და 12 შესაძლებლიდან აღებული ჰქონდა 9 ქულა. ამიტომ ალმა-ათის ფეხბურთელთა ეს გამარჯვებაც სიურპრიზია.

ტურის ძირითად ანგარიშად უნდა ჩაითვალოს 0:0. ასე დამთავრდა 3 მატჩი. საერთოდ, ტური არ გამოირჩეოდა გოლების სიუხვით. 6 შემთხვევაში გუნდებს საერთოდ არ გაუტანიათ ბურთი, 3 მატჩი დამთავრდა 1 გოლის უპირატესობით, ერთ თამაშში კარი აღებულ იქნა სულ ორჯერ — 1:1. ამ ფონზე გამოირჩეოდა მატჩი ლენინგრადში, სადაც ადგილობრივმა „ზენიტმა“ დამარცხება განიცადა როსტოვის არმიელებთან შეხვედრაში — 2:4. ამ თამაშში თავი გამოიჩინა როსტოვის არმიელთა ცენტრალურმა ფორვარდმა ო. კოპაევმა, რომელიც „ზენიტის“ კარში გატანილი ოთხივე ბურთის ავტორი იყო.

ტურის მატჩებში მოხდა 3 რევანში პირველ წრეში დამარცხებისთვის და სამივე შემთხვევაში ფიქსირებულ იქნა ზუსტად ერთნაირი ანგარიში. ჩემპიონატის პირველ წრეში მოსკოვის „დინამომ“ მოუგო „ზარიას“, ცსკა-მ — „კაირატს“ და მოსკოვის „ტორპედომ“ — თბილისის „დინამოს“. ანგარიში ყველგან მინიმალური იყო — 1:0. ახლა წაგებულებმა აიღეს რევანში და სამივე თამაშში ისევ თითო ბურთი იქნა გატანილი.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: „კრილია სოვეტოვმა“ და „პახტაკორმა“ ორივე წრეში უშედეგოდ ითამაშეს — 0:0. 180 წუთი და არც ერთი გოლი!

დაბოლოს, ბომბარდირთა შესახებ. 3 ნოემბრის მატჩში ო. კოპაევი გაუთანაბრდა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერს მ. მუსტიგინს (მინსკის „დინამო“). ორივეს გატანილი აქვს 14-14 ბურთი. 13-13 გოლის ავტორები არიან გ. ევრიუჟიხინი (მოსკოვის „დინამო“) და ე. მარქაროვი (ბაქოს „ნეფტიანიკი“), 11-11-ისა — გ. ნოდია (თბილისის „დინამო“) და ი. ვშივცევი (მოსკოვის „დინამო“).

გუშინ მოსკოვში შედგა გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და კიევის „დინამო“.

გაიმარჯვა „დინამომ“ — 2:0. ორივე ბურთის ავტორია ბიშოვეცი.



უფა. ახალი სპორტის სასახლე. მშენებლები სტოვებენ მზა ობიექტს. ფოტო ბ. კლიპინიცერისა.

ოლიმპიური ნორმატივები

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე თითქმის წლინახევრით ადრე ადგენს ოლიმპიურ ნორმატივებს. მათი შესრულება აუცილებელია იმ ქვეყნების სპორტსმენებისთვის, რომელთაც სურთ ყველა სახეობაში 3-3 ათლეტით გამოვიდნენ. ასეთი ნორმატივები მეხიკოს ოლიმპიადისთვის უკვე დაამტკიცა ამას წინათ ვენეციაში გამართულმა საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს მორიგმა სხდომამ.

აი, ისინიც (ფრჩხილებში აღნიშნულია ტოკიოს ოლიმპიადის ნორმატივები): **ქალები: რბენა. 100 მ** — 11,6 (11,7); **200 მ**—24,0 (24,2); **400 მ** — 55,0 (55,5); **800 მ** — 2.06,0 (2.08,0); **80 მ თარჯრბენი** — 10,8 (11,0); **სიმაღლეზე ხტომა** — 171 (170); **სიგრძეზე ხტომა** — 625 (6 მ); **ბირთვის კვრა** — 16 მ (15 მ); **ბადროს ტყორცნა** — 52 მ (50 მ); **შუბის ტყორცნა** — 53 მ (51 მ); **ხუთჭიდი** — 4600 ქულა (4500).

ვაჟები: რბენა. 100 მ — 10,3 (10,4); **200 მ** — 21,0 (21,0); **400 მ** — 46,8 (47,0); **800 მ** — 1.48,0 (1.48,8); **1.500 მ** — 3.42,0 (3.45,5); **5.000 მ**—13.50,0 (14.02,0); **10.000 მ** — 29 წუთი (29.25,0); **110 მ თარჯრბენი** — 14,1 (14,2); **400 მ თარჯრბენი** — 51,0 (51,8); **3.000 მ წინაღობებით** — 8.45,0 (8.46,0); **სიმაღლეზე ხტომა** — 209 (206); **სიგრძეზე ხტომა** — 760 (760); **სამხტომი** — 16 მ (15,80); **ჭოკით ხტომა** — 480 (460); **ბირთვის კვრა** — 18,40 (17,80); **ბადროს ტყორცნა** — 57 მ (55 მ); **შუბის ტყორცნა** — 77 მ (77 მ); **უროს ტყორცნა** — 64 მ (63 მ); **ათჭიდი**—7.200 ქულა (7.000).

თუ შევადარებთ მეხიკოსა და ტოკიოს ოლიმპიადების ნორმატივებს, ცხადი გახდება, რომ ისინი მხოლოდ სამ შემთხვევაშია ერთნაირი. სხვა სახეობებში ნორმატივები საგრძნობლად გაზრდილია და მძლეოსნობაში შედეგების ზრდითაა ნაკარნახევი.

ამან ფედერაციას უკარნახა, შესაბამისად გაეზარდა მეხიკოს თამაშების ტექნიკურ სახეობათა საკვალიფიკაციო ნორმატივებიც. ფინალურ ტურნირებში დაუშვებენ მათ, ვინც წინასწარ ასპარეზობაში აჩვენებს (ფრჩხილებში აღნიშნულია ტოკიოს ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ნორმატივები): **ქალები. სიმაღლეზე ხტომა** — 174 (170); **სიგრძეზე ხტომა** — 635 (6 მ); **ბირთვის კვრა** — 16,50 (15 მ); **ბადროს ტყორცნა** — 53 მ (50 მ); **შუბის ტყორცნა** 53 მ (51 მ). **ვაჟები: სიმაღლეზე ხტომა** — 214 (206); **სიგრძეზე ხტომა** — 765 (760); **სამხტომი** — 16 მ (15,80); **ჭოკით ხტომა** — 490 (460); **ბირთვის კვრა** — 18,90 (17,80); **ბადროს ტყორცნა** — 58 მ (55 მ); **შუბის ტყორცნა** — 80 მ (77 მ); **უროს ტყორცნა** — 66 მ (63 მ). როგორც ხედავთ, ფინალში გასვლა მეხიკოში უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ტოკიოში იყო. მაშასადამე, შემცირდება „ოქროს“ მაძიებელთა რიცხვი.

ფლოიდ პატერსონი დამარცხდა

მოჰამედ ალის მემკვიდრეთა რიგებს ჩამოსცილდა კიდევ ერთი მოკრივე — ფლოიდ პატერსონი (აშშ).

29 ოქტომბერს მსოფლიოს ექსჩემპიონი ლოს-ანჯელოსში შეხვდა თავის თანამემამულე ჯერი კვერის. ფლოიდ პატერსონმა იმედი გაუცრუა გულშემატკივრებს, რომლებიც მაყურებელთა უმრავლესობას შეადგენდნენ და ეგონათ, რომ იგი ახლაც ლამაზად მოუგებდა მეტოქეს.

პირიქით მოხდა: მე-2 და მე-4 რაუნდში პატერსონი ნოკდაუნში აღმოჩნდა. 12-რაუნდიანი ბრძოლა კვერის გამარჯვებით დასრულდა.

მატჩები შედგება 15 ნოემბერს

22 ოქტომბერს არ შედგა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. ამ ტურის თამაშები გაიმართება 15 ნოემბერს. ერთმანეთს შეხვდებიან: ასკ (თბილისი) — „გარეჯი“ (საგარეჯო), „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მერცხალი“ (მახარაძე), „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „დურუჯი“ (ყვარელი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „მესხეთი“ (ახალციხე), „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ფეიქარი“ (წულუკიძე), „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „განთიადი“ (ბორჯომი).

ჩემპიონის წოდებისთვის

დასასრულს უახლოვდება თბილისის პირველობა ფეხბურთში. 6 ნოემბერს 26 კომისრის სახელობის სტადიონზე შედგება გადამწყვეტი მატჩი, რომელმაც უნდა გამოავლინოს ქალაქის ჩემპიონი. ერთმანეთს შეხვდებიან პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და მაუდ-კამვოლის კომბინატის გუნდები.

მატჩის დასაწყისი 15 საათზე.

▲ **ბარსელონა.** დამთავრდა ჩოგბურთელთა დიდი ინტერნაციონალური ტურნირი, რომელშიც ევროპის თითქმის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობდა. ვაჟთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სანტანა (ესპანეთი) და პილიჩი (იუგოსლავია). გაიმარჯვა სანტანამ — 2:6, 6:3, 6:1. III ადგილისთვის ბრძოლაში ჯისპერტმა (ესპანეთი) მოუგო ტეილორს (ინგლისი) 6:3, 7:5. შერეულთა წყვილებში სანტანამ და ჯისპერტმა დაამარცხეს პილიჩი და ტეილორი — 6:2, 3:6, 7:5.

▲ **ლონდონი. ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის მაგიდის ჩოგბურთელთა ტრადიციული ტურნირი დიდი ანგარიშით (7:1) მოიგეს მასპინძლებმა. როგორც ინგლისის გაზეთები აღნიშნავენ, ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ბოლო წლებში ასეთი დიდი ანგარიშით არავის დაუმარცხებია.**

▲ **ტოკიო.** იაპონიის ძალოსნურ ფესტივალზე უმსუბუქეს წონაში პირველი ადგილი დაისაკუთრა მსოფლიოს რეკორდსმენმა კიმურამ. ეს სპორტსმენი წლევანდელი შედეგების მიხედვით იაპონიაში საუკეთესო ძალოსნად არის აღიარებული.

▲ **ლონდონი.** გაიმართა ამხანაგური მატჩი ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთისა და გფრ-ის გუნდები. გამარჯვება ანგარიშით 273:253 სტუმრებმა მოიპოვეს.

მაღალი ჯილდო — „განთიადს“

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭომ „განთიადის“ ცენტრალურ საბჭოს სამუდამოდ გადასცა გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც ეს საზოგადოება 7-ჯერ იყო დაჯილდოებული.

„განთიადი“ დაჯილდოვდა აგრეთვე, სამახსოვრო თასით.

საოქტომბრო ახალსახლობა

გუშინწინ კიდევ ერთი საოქტომბრო საჩუქარი მიიღეს თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის ფიზკულტურელებმა — საზეიმოდ გაიხსნა ბავშვთა სპორტსკოლის ახალი კეთილმოწყობილი სპორტდარბაზი. ამიერიდან ეს ბაზა მოემსახურება ტანმოვარჯიშეებს, კალათბურთელებს, ფრენბურთელებს, ხელბურთელებსა და მაგიდის ჩოგბურთელებს. პირველი ჰამნიკი კი ახალ დარბაზში ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა და ფრენბურთელებმა აიღეს — ჯერ რაიონის სპორტსკოლისა და თბილისის განათლების განყოფილების ფრენბურთელთა გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი გვიან საღამომდე მიმდინარეობდა სარაიონო პირველობა ამ სახეობაში.

დიდი სპორტული ზეიმი იყო მესამე მასივის დასახლებაშიც. აქ 5 მოედანზე გაიმართა ჯანმრთელობის სახალხო კლუბ „გაზაფხულის“ პირველობა ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში. I ადგილი და ჩემპიონობა დაისაკუთრეს 34-ე სახლმმართველობის სპორტსმენებმა.

„განთიადის“ საცურაო აუზის „ღია სტარტზე“ 200-ზე მეტი ცურვის მოყვარული გამოვიდა. მოეწყო საჩვენებელი გამოსვლა უძლიერეს სპორტსმენთა მონაწილეობით. ათობით მოზარდმა პირველად შეასრულა სხვადასხვა თანრიგი და ჯილდოდ საიუბილეო საჩუქრები დაიმსახურა.

თ. ბაჩიჩილაძე.

სპარტაკელ მოფარიკავეთა წარმატება

ამას წინათ ლუგანსკში დამთავრდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ფარიკაობაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა რსფსრ-ს და მოსკოვის ძლიერი კოლექტივების შემდეგ დაიკავეს III საპრიზო ადგილი. ახალგაზრდებს შორის ხმლით მოფარიკავეებმა მოიხვეჭეს I ადგილი.

გუნდურ შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები თ. მაშინაია, ნ. ძიძიკაშვილი, გ. კუჭაძე, ა. გაგულაშვილი.

ვ. ქოჩიაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ჭადრაკის ამბები

● მოსკოვი, 3 ნოემბერი. დამთავრდა დედაქალაქის მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი. I-II ადგილები გაიყვეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა და ლ. პოლუგაევსკიმ, რომლებმაც 8-8 ქულა მოაგროვეს. პირველი პრიზის მფლობელი გამოირკვა გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ, უკეთესი კოეფიციენტების ცხრილის მაჩვენებლის მიხედვით.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448
საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
8
უე 03425